საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი კომუნისტი

ხუთშაბათი, 29 ივლისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 3 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 3

**საბჭოთა რუსეთის წითელი არმია შეუჩერებლივ მიიწევს წინ პოლონეთის გულისაკენ — ვარშავისაკენ და გალიციისაკენ, სადაც ის ევროპის სოციალისტური რევოლიუციის წინამორბედის როლს შეასრულებს.**

**მცირე აზიაში ნაციონალური რევოლიუცია იმარჯვებს: საფრანგეთის ჯარმა კილიკია უკვე დასტოვა, ანატოლიაში ყველგან ქემალისტები იმარჯვებენ, საბერძნეთის იმპერიალისტური ლაშქრის შემოტევა სმირნასთან შეაჩერეს.**

**ინგლისის პოლიტიკა აღმოსავლეთში დამარცხდა: ლოიდ-ჯორჯი საქმის გამოკეთებას საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების გამართვით ცდილობს. საბჭოთა რუსეთი ლონდონში მოსალაპარაკებლად ჩიჩერინს გზავნის. გვიახლოვდება დღე ევროპის სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებისა!**

**საქართველოს მუშებო და გლეხებო! ემზადეთ, რომ ღირსეულად შეხვდეთ ამ დიად მომენტს!**

## ხელისმომწერთ

გაზეთ „ახალი კომუნისტის“ კანტორა გიცხადებთ რომ გაზეთზე ხვედრი ხელმოსაწერი ფული პირველ აგვისტომდე შემოიტანოთ. ვინც პირველ აგვისტომდე არ შემოიტანს, გაზეთი არ გაეგზავნება. ფული მხოლოდ შემდეგი მისამართით მიიღება: „ახალი კომუნისტის“ რედაქცია და კანტორა რაჟდენ თომას ძე კალაძეს პასკევიჩის ქუჩა № 3.

**გაზეთ „ახალი კომუნისტის“ კანტორა.**

## კომუნისტების საყურადღებოთ

მოგვაწოდეთ მოკლე შინაარსიანი წერილები. აღნუსხეთ ფაქტები ადგილობრივი და მუშათა ცხოვრებიდან. წერილები უნდა იყვეს დაწერილი ცალ გვერდზე სუფთათ და გასაგებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიბეჭდება. პასუხისმგებელ კორესპონდენტებს უფასოთ გაეგზავნებათ ჩვენი გაზეთი. გამოგზავნეთ (თქვენი მისამართი.)

## საბჭოთა რუსეთი და სომხეთი

დაშნაკელთა სომხეთი კაი ხანია აუტანელ მდგომარეობაშია, მისი გაჭირვება აუწერელია, ხოლო მისი ისტორია ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში მხოლოდ და მარტო დაუსრულებელი გაჭირვებაა: მეფის და ვორონცოვ-დაშკოვების კალთებს მიჩვეული დაშნაკელთა პარტია არ ეთხოვებოდა თავის შესისხლხორცებულ პოლიტიკას მაშინაც კი, როცა მტრებით გარშემორტყმული, პატარა კუნძულს ემსგავსებოდა სომხეთი რომელსაც სისხლს აღებინებდა გერმანია-ოსმალეთის კოალიცია: იმ მწარე დღეებშია დაშნაკელები ერთგული მონები იყვნენ ანტანტასი და პირველ ყოვლისა ძველი რუსეთის. და რაკი ამ რუსეთის წარმომადგენლობა შემდეგ გენ. დენიკინმა იდვა თავს, დაშნაკელთა სომხეთიც ერთგული მოიმედე გახდა რუსეთის რეაქციის მატარებელ გენერლის. ამით სამუდამოთ გაამჟღავნა სომხის ბურჟუაზიის და მემამულეთა პარტიამ თავისი რეაქციონური ბუნება.

ამასთანავე ახლო მეზობლებთან დამოკიდებულება რომ ყოველთვის გამწვავებული ქონდა სომხეთს, რომელსაც მართავდა ნაციონალისტური და შოვინისტური პარტია, და რაკი მის პოლიტიკას უპირდაპირდებოდა ამგვარივე პოლიტიკა დანარჩენ რესპუბლიკათა მართველ პარტიების, ამიტომაც სომხეთს ერთ დღესაც არ მოუსვენია, მუდამ იარაღ ქვეშ იყო, ხან ერთ ფრონტზე და ხან მეორეზე. განსაკუთრებით ჩაუქრობელი შეიქნა ის შუღლი და მძულვარება, რომელსაც აღვივებდენ ათეულ წლების განმავლობაში სომხის და აზერბაიჯანის გაბატონებული კლასები ორივე ხალხის მდაბიო ხალხში. ამ შუღლმა და მძულვარებამ კაი ხანია გადმოხეთქა და სისხლის მორევი დააყენა ორ ხალხს შუა: სადაც შეიკრებიან სომხები მუსრს ავლებენ და ჟლეტენ ყველა თათრებს, სამაგიეროთ თათრებიც ასე ექცევიან სომეხ მოსახლეობას სადაც მოახერხებენ შესევას. რასაკვირველია ორივე მხარე თავისათ აცხადებს იმ ტერიტორიას, სადაც ფეხი დაუდგამს და მტრის მოსახლეობა თავიდან მოუშორებია. რომელი ძალა მოსპობს ამ განმანადგურებელ შუღლს და ქიშპს, ამ კაციჭამია ნაციონალისტების ნათეს შხამის შედეგებს და საზღვრების გამო დაუსრულებელ დავას და შეტაკებებს? თუ არ დავივიწყებთ ამიერ კავკასიის თავისებურ პირობებს, ამაზე პასუხი მხოლოდ ერთი იქნება: შესაძლებელ სიწყნარეს და მშვიდობიანობას ჩამოაგდებს დღეს მხოლოდ საბჭოთა რუსეთი: ჯერ ერთი როგორც მესამე მხარე, რომელსაც ენდობა ორივე ხალხის მშრომელი მასსა და მეორეც — როგორც ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის და ხალხთა შორის სოლიდარობის მატარებელი. როცა არ გასჭრა დიპლომატურმა მიწერ-მოწერამ და კეთილ-განზრახულ რჩევამ, როცა საზღვრების გამო სისხლის ღვრა არ შეწყდა აზერბაიჯანსა და სომხეთს შუა, საბჭოთა რუსეთის ჯარებმა დაიკავეს დროებით სადაო ყარაბაღი და ზანგეზური, შეიტანეს იქ მშვიდობიანობა და ამით მოამზადეს ნიადაგი სომხეთ-აზერბაიჯანის შორის შეთანხმებისათვის. ვინც ამ ჩარევაში ხედავს საბჭოთა რუსეთის მხრით ტერიტორიის დაპყრობის სურვილს ან და მოკავშირე აზერბაიჯანისადმი „მიდგომას“, მას სჩანს არაფერი გაეგება საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის, მსოფლიო რევოლიუციის ვამღვივებელი პარტია და მისი მთავრობა ყარაბახ-ზანგეზურის ანექსიონისტის როლში! რა უმგვანო ზღაპარია.

ჩიჩერინის ნოტა, რომელიც მას 20 ამ თვეს გაუგზავნია სომხეთისათვის, ერთხელ კიდევ ცხადყოფს მოსკოველთა საგარეო პოლიტიკის მთავარ პრინციპებს: ესაა უანგარო მეგობრობა ყველა ერის მშრომლების მიმართ და ხელის შეწყობა მათი მშვიდობიანი განვითარებისათვის, გაუთავებელ სიბედისწერო შუღლის მოსპობით მუსულმანებსა და სომხებს შორის. ამ მიზნის უკეთ სისაღწევათ საბჭოთა რუსეთმა, თუმც ჯერ საზავო ხელშეკრულება რუსეთ-სომხეთ შუა არ დადებულა, თავისი წარმომადგენელი გამოაგზავნა სომხეთში, რომელიც გაადვილებს ყველა სადაო კითხვების გადაჭრას მშრომელთა სასარგებლოთ. ასეთია აზერბაიჯან-სომხეთის ახლობელი პერსპექტივები. გაუწევენ კი მათ სათანადო ანგარიშს დაშნაკელები? ცოტა საეჭვოა: მათ ამ თავითვე გამოამჟღავნეს ერთხელ კიდევ თავისი ბუნება, მათ ერთხანს გაჯიბრდენ კიდეც და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს არ უშვებდენ თავის საბრძანებელში. აქაო და ფორმალური ზავი არა გვაქვს ჯერ რუსეთთანო. მართალია ასეთი ზავი ჯერ არ არის, მარა სომხეთის მშრომელ ხალხს, რომელსაც უწევს ანგარიშს საბჭოთა რუსეთი, დიდი ხანია, ზავიც აქვს და ძმური სიმპატიის ძაფებიც გაბმული რუსეთის მუშებთან და გლეხებთან. და თუ ამის წინააღმდეგ წავა დაშნაკელთა პარტია, მას არ აცდება მუსავატელთა სასირცხო ბედი.

## „მაძებარი ინტერნაციონალისტები“

მალე სამი წელიწადი შესრულდება რაც რომ რუსეთში მუშურ-გლეხური დიქტატურა მეფობს. ვინც ოქტომბრის გადატრიალებას ავანტიურათ სთვლიდა და ბოლშევიკებს უწინასწარმეტყველებდა ორიოდე კვირაში საშინელ დამარცხებას და გასრესას, დღეს უკვე დარწმუნებულია სულ წინააღმდეგში. ყველგან გაცხოველდა ინტერესი საბჭოთა რუსეთისადმი, მის გმირულ ბრძოლისადმი. ყველა ქვეყნების მუშათა კლასში, მიუხედავათ მთავრობების მუხრუჭისა და დამახშობელ ბლოკადისა, რომელიც მათ შემოავლეს პროლეტარული რევოლიუციის ქვეყანას, მიუხედავათ „ბელადების“ გამცემლობისა შეუკავებლათ იზრდება და მრისხანე ძალათ გაიზარდა უკვე მხურვალე თანაგრძნობა მებრძოლ რუსეთისადმი, მტკიცე ნებისყოფა მისთვის აქტიური დახმარებისა, მისი საქმის თავის საკუთარ საქმედ გამოცხადების და რუსეთის მუშების რევოლიუციაზე საკუთარი რევოლიუციით პასუხის გაცემის. გაიხრწნა ძველი ბელადების, მატყუარა მოღალატეების ინტერნაციონალი, ყველას თვალი წითელ მოსკოვისაკენ უჭირავს, იქით, მესამე ინტერნაციონალისკენ მიაბიჯებს. ძველი ქვეყანა, ბურჟუაზიული ძალადობის ქვეყანა და მისი დამცველები ხედავენ, რომ შეუძლებელია ამ მოხეთქილი ნიაღვარის შეჩერება და ცდილობენ თავისი წისქვილი ააბრუნებიონ მას, რამდენათაც შესაძლებელია, და ამიტომ პირმოთნეობის ქურქში ეხვევიან და, ვითომ მიუდგომლობის მოტრფიალენი, საქმის „ყოველმხრივ აწონ-დაწონას და შესწავლას“ ქადაგობენ და თავის მოწმეებს გზავნიან რუსეთში. ვის არ ახსოვს გასულ წლის თებერვალში ქ. ბერნში შეკრებილ ყვითელ ინტერნაციონალის გადაწყვეტილება რუსეთში „გამომძიებელ“ კომისიის გაგზავნის შესახებ? ყველას ეხსომება ალბათ საბჭოთა რუსეთის მესვეურების პასუხიც. პირმოთნე დამცველებს ბურჟუაზიის დიქტატურისა არ გცნობთ მუშათა კლასის წარმომადგენლებათ და სოციალისტებათ, მარა მაინც გელით, მობრძანდით და ინახულეთ თქვენი თვალით ჩვენი ბრძოლა და ჩვენი გაჭირვებაო. მარა სოციალ-გამცემლებს ბურჟუაზიული მთავრობები მიეშველენ და პასპორტების მიუცემლობით იხსნეს ისინი გასაჭირიდან: მარა ერთი წლის შემდეგ მიუდგომელ გამომძიებლის როლში გამოსვლას ფიქრობს მეორე, შავ ყვითელი ორგანიზაცია, ე. წ. „ნაციათა ლიგა“, ლოიდ-ჯორჯის და კლემანსო — მილერანების ყურში ჩაფუჩუნებით ეს ფრიად პატივსაცემი დაწესებულებაც აწყობს დელეგაციას სწორეთ მაშინ, როცა მისივე თვალის წინ მისი სულის ჩამდგმელები პოლონეთს — ამხედრებენ საბჭოთა რუსეთის გასანადგურებლათ! სამხედრო ჯაშუშობა და მზვერაობა თუ ექნებოდა ლიგის კომისიას დავალებული, და არა მიუდგომლათ ჭეშმარიტების აღდგენა. ასეთი შემადგენლობის კომისიამ ვერ ინახულა რუსეთი. ბოლოს საქმეს ხელს კიდებენ ზოგიერთ ქვეყნებში ნახევრათ ბურჟუაზიული მუშათა პარტიები. როცა ნამდვილი პროლეტარული მასსები და მათი პარტიები უყოყმანოთ და „გამოუძიებლათ“ ეკედლებიან რუსეთის რევოლიუციას და მის პირმშოს — კომუნისტურ ინტერნაციონალს, „მუშათა ბელადები“ საანკეტო კომისიებს აკოლიკებენ და ექსპერტიზას უკეთებენ რევოლიუციონური რუსეთის სინამდვილეს — მისაღებია თუ არა ჩვენისთანა დარბაისელ, წმინდა საზოგადოებაში მიღებულ „მუშებისათვის“ რევოლიუციონური მეთოდებიო! ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია: თვით ოფიციალური, ბურჟუაზიული იდეებით ყელამდის გატენილი, ოპორტუნისტთაგან ოპორტუნისტული ინგლისის მუშათა პარტია იძულებულია ანგარიში გაუწიოს მუშათა მასსების რუსეთისადმი საყოველთაო აქტიურ სიმპატიას და თითონ ჩაერიოს საქმეში, თუმცა პირმოთნეთ, არაგულწრფელათ. ეს თავისთავათ დიდი გამარჯვებაა რუსეთის რევოლიუციის იდეის: პირმოთნეობა, თქმულია, პირველი მსხვერპლია ბოროტებისაგან კეთილისადმი შეწირულიო. და ეჭვი არაა პირველს მეორეც და ბევრი სხვა მსხვერპლიც მოჰყვება სულ ახლო მომავალში.

დელეგაციების და გამოძიების გზას დადგომიან საქართველოს პროფესიონალურ ორგანიზაციების ოფიციალური წინამძღოლებიც. სამი წლის კარჩაკეტილობის და რუსეთიდან სრულებით მოწყვეტის შემდეგ, ახლა მათაც გადაუწყვეტიათ ინგლისელ „მუშათა პარტიის“ მაგალითით სარგებლობა და რუსეთის სპეციალური დათვალიერება რწმუნებულთა საშუალებით და ასე, სანდო მოწმეების ჩვენებით დადასტურება ყველა იმ ბრალდებების რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ, რაც ამ სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ გაისმის საქართველოს ცათა შინა. ეს მიზანი მუშათა სათავეში მოქცეულ ბელადების აშკარაა, თუ გავეცნობით მათ სხდომის, რაღა თქმა უნდა შეკვეცილ ანგარიშს მაინც („ერთობა“ № 166), ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ რომ ამ დელეგაციის გაგზავნა გადაწყვიტა მენშევიკების პარტიულ სიეზდმა. ერთი ბელადთაგანის, ა. ხელაძის სიტყვით „ჩვენი დელეგაცია იქნება ოფიციალური დელეგაცია, რომელსაც გზავნის ერთი სახელმწიფოს მუშათა კლასი მეორე სახელმწიფოს მუშათა კლასთან“, და ის მასალებით ხელში გააცნობს რუსეთის მუშებს ჩვენს მდგომარეობას, მეორე მხრით კი ადგილობრივ გაეცნობა იქაურ მდგომარეობასო. და რასაკვირველია შესაფერი თანხა მთავრობამ უნდა გაიღოსო. ბ. გიორგაძეს მიაჩნია, რომ დავაგვიანეთ დელეგაციის გაგზავნაო: „ადრევე იყო საჭირო, რომ მუშათა წარმომადგენლები ადგილობრივ გაცნობოდენ და გაეგოთ, თუ როგორი „სოციალიზმი“ სუფევს საბჭოთა რუსეთში“.. აქ უკვე მთელი პროგრამაა დელეგაციისათვის: რუსეთის სოციალიზმი უსათუოდ ფრჩხილებში უნდა იქნას ჩასმული, როცა ანგარიშს ჩამოიტანებენ ის „ნამდვილი მუშები“, რომლებიც უნდა შედიოდენ ბ. გიორგაძის წინადადებით დელეგაციაში ვინ ირჩევს ამ „ნამდვილ მუშებს“ რუსეთში გასაგზავნათ? აღმასრულებელ კომიტეტის უფლება ყოფილა მათი დანიშვნა, მარა დემოკრატი ა. ხელაძე თანახმაა, რომ „სხვა ცენტრებმაც მიიღონ მონაწილეობა დელეგატების დასახელებაში“. და აი ამ ცენტრების წარმომადგენლები დანიშნავენ დელეგატებს, „ნამდვილ მუშებს“. და საქართველოს მუშათა კლასის სახელით გაგზავნიან საბჭოთა რუსეთის ფრჩხილებიან სოციალიზმის „გასაცნობათ“ და შემდეგ აქ ლორთქიფანიძე-დევდარიან ხუნდაძეების მსგავსათ საქებსადიდებლათ: მშრომელთა მასსები ამის შემდეგ ალბათ შეიძულებენ და საბოლო-

ოთ ხელს აიღებენ რუსეთისაკენ გახედვაზედაც კი...

გეგონებათ—გარეგნულათ მაინც დაცული იქნება ერთგვარი დეკორაცია, ერთგვარი პირობა საფუძვლიანათ. გაცნობის როგორც რუსეთის სინამდვილის, ისე თავისი-თავის საქართველოს მდგომარეობის რუსეთის მუშებისათვის. რა საკადრისია! გასაცნობი უკვე გაცნობილია, დასამტკიცებელი უკვე დამტკიცებულია. ბ. ს. დევდარიანი, რომელიც მარტო თეორეტიკოსი კი არ არის, არამედ საქ. პროფ. კავშირთა კავშირის მოთავე და უმაღლესი წევრი, აი როგორი მზრუნველობით ეკიდება...

დელეგატების ჯანმრთელობას: „დელეგაცია - უთქვამს მას—უნდა გაიგზავნოს 1 კვირის განმავლობაში, რათა იგი სექტემბრამდე დაბრუნდეს, ვინაიდან ამ თავიდან რუსეთში დიდი სიცივეები იწყება და თუ დელეგატებს მოუგვიანდათ, ისინი დიდ გასაჭირში ჩავარდებიან"... როგორ მოგწონთ? ეკენისთვიდან „დიდი სიცივეები" იცის რუსეთშიო—მარქს-ენგელსის ფალსიფიკაციის შემდეგ ბ. დევდარიანი ბუნების მოვლენებსაც მიდგომია, აქაც ვერ მოუთმენია თავის სალერღლის შეკავება და ენკენისთვის გამაშეშებელ ყინვებზე ზღაპრით საგონებელში აგდებს თბილ კუთხეს და უხათაბალო ცხოვრებას მიჩვეულ წევრებს განზრახულ „ნამდვილ მუშურ" დელეგაციისას! რასაკვირველია, როცა საკითხს ასე „ალრმავებს," როცა დელეგაციას უზარმაზარ რუსეთის მოსავლელათ მისი სინამდვილის გასაცნობათ მხოლოდ ერთ თვეს აძლევენ (თუმცა თითონ იფიცებიან ყოველ წუთს და ყოველ გზაჯვარედინზე, რომ რუსეთში ურმებიც კი აღარ არის და ერთი ქალაქიდან მეორეში გადასვლას თვეები უნდებაო!) და როცა ჭეშმარიტებაზე მზრუნველობა იქამდის მიდის, რომ ენკენისთვის სურდოს გახსენებით ჟრუანტელს გვრიან „განწირულ" დელეგატებს—რასაკვირველია შეუძლებელია სერიოზული დაფასება ქართველ სოციალ-დემოკ. პარტიის და თბილისის „მუშათა ბელადების" დაწყებულობის: არავითარი გაცნობა რუსეთის სინამდვილესთან არშეეძლებათ დელეგატებს.

მარა მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც კმაყოფილი ვართ რუსეთში თუნდა ასეთი დელეგაციის გაგზავნით. ვინც არ უნდა გააგზავნონ და რაგინდ დირექტივებით—ზოგი მაინც შესძლებს თვალი გაუსწოროს მებრძოლ რუსეთის მუშას და ამოიკითხოს მის სახეზე: „ყოფილო ამხანაგო! სამი წელიწადია მოუსვენებლათ ვიბრძვი ჩემი კლასის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, ვიბრძვი შიგნით, ვებრძვი გარშემორტყმულ იმპერიალისტ-მხეცებს ხროვას. აოხრებული რუსეთი ჩავიბარე რომანოვებისაგან და ამით მემკვიდრე შემთანხმებელთაგან, ამ სამი წლის განმავლობაში მე და ჩემი დასაწყლებული ოჯახი ვკმაყოფილდებოდით ერთი ნაჭერი პურით, სიცივეში ვატარებდით დღესა და ღამეს, მარა ხელიდან არ ვუშვებდით მდიდრების დასათრგუნავ იარაღს. ვიცი მაძღარს არ მოეწონება ჩემი დამშეული ყოფა, მარა ისიც ვიცი, რომ თუ არ მოისპო ქვეყნის დაყოფა მაძღრებათ და მშიერებათ, თუ არ მოისპო კლასები, კაცობრიობა ისევ ველურობაში ჩავარდება და ჩემი კლასიც ისევ ბურჟუაზიის მძიმე უღელქვეშ მოექცევა. ამიტომაც ვარ გაკაჟებული ტანჯვაში და ბრძოლაში, ამიტომაც ვიბრძვი მშრომელთა დიქტატურისათვის. და შენ, ყოფილო ამხანაგო, ახლა რო მოსულხარ ჩემ გასაცნობათ, შენ რომელიც ჩემთან ერთად ლესავდი პროლეტარიატის დიქტატურის იარაღს და ინტერნაციონალიზმს ფიცულობდი წინეთ, სად იყავი ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში? ვის უმაგრებდი ზურგს, ვის ებრძოდი?"...

და ასეთი უსიტყვო საუბარის მონაწილე ზოგს დელეგატს, ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ, მაცოცხლებელი კრთომა დაეტყობა და მიუხედავათ ყოველგვარ მანდატისა, მას რაღაც მოსწყდება სულში, ჩაირბენს ნერვებით და გულში დაისადგურებს: ეს იქნება გაღვიძებული პროლეტარული სოლიდარობის გრძნობა, ეს იქნება ინტერნაციონალისტის ხორც შესხმული და ამოძრავებული სინიდისი, რომელიც იოლათ გადაჰრის საკითხს: სად არის მშრომლის ადგილი—„დასავლეთის იმპერიალისტების" სუფრის ახლოს, თუ აღმოსავლეთის ფანატიკოსების" ბრძოლის რკალში?

ნ. გ.

## ადგილობრივი პრესა

მოსკოვში მესამე ინტერნაციონალის კონგრესი დასრულდება ამ დღეებში. ამ თვის დამლევს უნდა შეიკრიბოს (თუ კი შეიკრიბება) მეორე ინტერნაციონალის კონგრესი ჟენევაში. ვიცით მესამე ინტერნაციონალის მომხრე პარტიები, ვიცით აგრეთვე მეორე ინტერნაციონალიდან გამოსული და ჯერჯერობით ნავთსადგურს მოკლებული პარტიების სიაც. ჩვენ მესამე ინტერნაციონალში ვართ, რუსეთის მენშევიკებმა მიატოვეს მეორე ინტერნაციონალი, „ბუნდმა" კიდეც მიატოვა და კიდეც კომუნისტურ ინტერნაციონალს მიეკედლა. სად არის სახელგანთქმული, სწორუპოვარი, მარქსიზმის ჭეშმარიტი მემკვიდრე და მზიდველი ქართველი სოციალ-დემოკრატია—მესამეში რომ არ არის, ეს ყველამ ვიცით და თითონაც წარა-მარა იფიცება ამაში. მარა დარჩა ის მეორე ინტერნაციონალში, გამოვიდა თუ ჰაერშია გამოკიდული და კოსმოსში დაპარპაშობს ისე, რომ თითონაც არ იცის—სად უდგია ფეხი ან სად დადგას? ამას წინეთ „ერთობა"-ს გამოვეხმაურეთ ამის გამო, მარა მან ბ. თეკლათელის პირით აქეთაც შეაგდო სიტყვა, იქითაც, მარა მიუხედავათ მრავალ სიტყვიერებისა—ერთ სტრიქონიანი გარკვეული პასუხის მოცემა ვერ შესძლო და ბოლოს ხმის გაკმენდა არჩია... ახლა გავეცანით ქართველ სოც.-დემოკრატიის უკანასკნელ ყრილობის რეზოლიუციას ინტერნაციონალის შესახებ. ეს საკითხი ყრილობის დღიურ წესრიგში იყო შეტანილი, ალბათ „პრინციპიალური" მსჯელობა ექნებოდათ, ალბათ კონგრესზე დასასწრებათ დელეგატების არჩევნებიც იქნებოდა თუ კი მეორე ინტერნაციონალის წევრათ რჩებიან, ან და გამოთხოვებას და „ნაცადი გზით" სიარულის დაწყებას აღნიშნავდენ რეზოლიუციაში.

ასე მოიქცეოდა ყოველი სერიოზული, თავის-თავის და თავის მასსის პატივმცემელი პარტია, სიტყვა „სოციალიზმიც" რომ არ ეკრას ვივესკათ, მარა ამაოთ დაუწყებთ ძებნას ამ რეზოლიუციაში (იხ. ხსენებული ყრილობის „უწყება" გვ. 20, თბილისი, 1920 წ.), ხსენებულ კითხვებზე პასუხს: აქ ბლომადაა სიტყვები „რევოლიუციური", „სოციალისტური გარდაქმნა" და მთლიანობაზე ჭკუა-დამჯდარი მოთხრობა, და რასაკვირველია, მითითება დემოკრატიულ გზაზე როგორც რევოლიუციონურ სოციალიზმის დამაგვირგვინებელ საშუალებაზე („რასაც თავიდანვე ქადაგებდა ინტერნაციონალიო", იპოხონდრიულათ ათავებს რეზოლიუცია), მარა მაინც ვერ გაუგია ვერავის: დარჩენ მეორეში, მიდიან მის კონგრესზე, გამოვიდენ მეორედან, არც შედიან არც მესამეში და არც მეჩვიდმეტეში და ასეთი... ასეთია „ბრძოლაში გამობრძმედილ" პარტიის მეტის მეტი ნათელი, სწორი და შეურყეველი პოზიცია..

მარა კომიზმის „დასაგვირგვინებლად" ახლა ხელახლა ყოფს თავს ბ. თეკლათელი და სიტყვებს არ ზოგავს, რათა გააღრმაოს საკითხი: „ბიუროკრატიული და დემოკრატიული ინტერნაციონალი" (იხ. „ერთობა" № 166). შეუდარებელი სერიოზობით ის ქადაგებს:

„აღდგენილ ინტერნაციონალს უნდა ახასიათებდეს ძალა-უფლების ხელში აღების დღის წესრიგში დასმა. ამისთვის სუბიექტიურად და ორგანიზაციულად სავსებით მომზადებულია გერმანიისა და ინგლისის მუშათა კლასი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ორ დიდ კულტურულ ქვეყანას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს მთელი ევროპის და, შეიძლება ითქვას, კაცობრიობის მომავალი ბედ-იღბალისთვის, საერთო მსჯელობის დროს პატარა და შედარებით სუსტ სექციებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

ძალა-უფლების აღების დღის წესრიგში დასმა მოითხოვს, როგორც აუცილებელ და პრაქტიკულ პირობას, ყოველივე კოალიციის უარყოფას ბურჟუაზიულ მმართველ პარტიებთან. ამ დებულებას თანდათან ითვისებს ევროპის მუშათა კლასი. ის სექციები, რომელნიც არ განთავისუფლებულან ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის სურვილისაგან, ვერ იქნებიან ღირსეული წევრი ახალი ინტერნაციონალისა".

მკითხველს ეგონება—აი ახლა კი გვეღირსება ბ. თეკლათელის პირადან იმის გაგონება, თუ რომელი ინტერნაციონალია მენშევიკების თავშესაფარი, მარა ამაოთ: ყოველივე ეს ბ. თეკლათელს დასჭირდა იმისთვის, რომ ერთხელ კიდევ გახსენებია რუსეთის „აზიელობა" და ევროპის „დემოკრატობა". რაც შეეხება მთავარ საკითხს—სად არის, ან სად აპირებს დასადგურებას ქართველი მენშევიკების პარტია—ამის გამოსაცნობათ „ერთობის" მკითხველმა ალბად უნდა მიჰმართოს რომელიმე მკითხავს ან და სიზმრის ახსნის წიგნს ..

* * *

გაზ. „ბორბა"-ში წერილია მოთავსებული სათაურით: „ტერორი და თავშეფარების უფლება". კავკაველ „კომუნისტის" შენიშვნის მიხედვით—რომ ხანხოელის მკვლელი გმირია და არა ბოროტმომქმედიო, — გაზეთი უდაოთ თვლის, რომ როგორც ხან-ხოელის მკვლელობა, ისე ამ ორიოდე დღის წინათ მოხდენილი ტერორისტული თავდასხმა და მკვლელობა დ-რ აგაევის, კომუნისტების საქმეა.

ჩვენ ერთხელ უკვე განვაცხადეთ ასეთი აღვირახსნილ ცილისმწამებლობის წინაამდეგ პროტესტი, მარა ახლა „ბორბა" ხელმეორედ იმეორებს თავის აშკარა ცილს, და „მეცნიერულად" ამტკიცებს „თავისშეფარების უფლების" ღვთაებრივ სიწმინდეს და ხელშეუხებლობას. სამწუხაროა, რომ ასეთ „სიწმინდეზე" და ღვთაებრიობაზე გაზეთმა უფრო ადრე ლექცია არ წაუკითხა პოლკოვნიკ წერეთელს და კუთვნილი არ მიუსაჯა. ჩვენ კი ზიზღით ვუბრუნებთ მას ხსენებულ ტერორისტულ აქტების ჩადენაში მონაწილეობის დაწამებას და დაბეჯითებით ვამბობთ: „ბორბამ" უნდა იკოდეს დანამდვილებით, ვისი ხელის საქმეა ეს მკვლელობები. კერძოთ ჩვენ საქართველოს კომუნისტებს ამ აქტებში მონაწილეობა შეუძლია მოგვაწეროს მხოლოთ ბინძურმა დაქირავებულმა ჯაშუშმა და დავალებულმა პროვოკატორმა.

## მოქალაქე რაჟდენიძეს

### კითხვა პირველი.

(გაგრძელება. იხ. № 2)

ვინ არღვევს ჩვენ შორის ლოღიკას? ვინ რევს ცნობებს და ვინ წერს გაურკვეველათ? ლოღიკის დარღვევა სიტყვების ჩიჩქნაში კი არ უნდა ვეძიოთ როგორც თქვენ გინებებიათ, მოქალაქევ, არამედ აზრთა წინააღმდეგობაში. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ თქვენს აზროვნება—ნაწერს, მაშინ აღმოჩნდება, რომ არა თუ მარტო თქვენ ბრძანდებით ამ ღირსებას მოკლებული, არამედ მთელი თქვენი პარტიის მიმართულება მოძღვრება, თუ შეიძლება მოძღვრება ვუწოდოთ დამახინჯებულ—გადაკეთებულ მარქსიზმს, როგორიც არის მენშევიზმი.

გავსინჯოთ თქვენ მიერ „სანიმუშოთ აღნიშნული" მაგალითი ჩვენი ულოღიკობისა.

თქვენი სიტყვით მე ჯერ ვითომ ვაღიარე „ბურჟუაზიულ და პროლეტარულ დემოკრატიზმს" შორის განსხვავება მხოლოთ შინაარსის მხრით და არა ფორმის მხრით; და მერე განსხვავება ფორმის მხრითაც აღვნიშნე.

აი, დააკვირდით კარგათ, მოქალაქევ: თქვენ აქ თქვენი შენიშვნის პირველ ნახევარში სტყუით ხოლო მეორე ნახევარში ცდებით. ჩვენ ვმსჯელობდით საზოგადოთ განსხვავებაზე „ბურჟუაზიულ და პროლეტარულ დემოკრატიზმს" შორის და არა „საერთო დემოკრატიზმზე". და განა შეიძლება რაიმე განსხვავება იყოს „საერთო დემოკრატიზმში? ასეთი მსჯელობა—წარმოდგენა რომ განხორციელება იქნებოდა მართლა ულოღიკობის, ვინაიდან სადაც ერთიანობა—ერთნაირობაა იქ არც განსხვავება არსებობს. მაშასადამე აქ ჩვენ ვერავითარ განსხვავებაზე ვერ ვიფიქრებთ.

ჩვენ განსხვავებას ვხედავთ, ვიმეორებ ორ სხვა და სხვა „დემოკრატიზმს" შორის „ბურჟუაზიულსა და პროლეტარულ შორის." ამას თქვენც ამოწმებთ, მოქალაქევ! ახლა თქვენ შეგეძლოთ შემკითხებოდით, თუ რა მხრით ვხედავთ ჩვენ აქ განსხვავებას. თუ თქვენ მართლა „გარკვევით" ვერ გაიგეთ ჩვენი სიტყვები, მაშინ მე გიპასუხებდით, რომ ჩვენ განსხვავებას ვხედავთ, როგორც შინაარსის მხრით ისე ფორმის მხრითაც თქვა.

მაშ რას ნიშნავდა შემდეგი ჩემი სიტყვები, რომლებიც თქვენვე მოგყავთ და რომლებიც თეთრზე შავათ არის აღბეჭდილი? „თუნდაც ასე იყოს: განა არ შეიძლება ბურჟუაზიული დემოკრატიზმი, როგორც ერთი ფორმა დაუპირდაპიროთ მეორეს—(აქ სიტყვის ფორმის ნაცვლათ ნიშანია დასმული, ხომ გესმით? დემასიძე.) პროლეტარულ დემოკრატიზმს?" (ნახ. თვით „ერთობის" მე-161 № 162) თქვენ კი გვაწერთ შემდეგ აზრს, და ვითომ მე ვამბობ: „მათ შორის განსხვავებაა, რასაკვირველია არა იმაში, რომ იგინი დემოკრატიააო, ე. ი. არა მათ პოლიტიკურ ფორმაში, არამედ შინაარსში: ფორმა ორივე შემთხვევაში ერთია: დემოკრატიული, შინაარსი კი სხვა და სხვა—ერთში ბურჟუაზიული, მეორეში პროლეტარული. მაშასადამე პროლეტარიატის დიქტატურა შეიცავს პოლიტიკურ დემოკრატიას და სოციალისტურ, ე. ი. პროლეტარულ ეკონომიკას. ე. ი. იმას რაც ჩვენ ვაღიარეთ „ჩვენს გზაშიო." (ნახ. „ერთობის" პირველ გვერდზე მესამე სვეტშია № 161) მკითხველს აქ სხვა სხოლიოებიო არ შევაწუხებთ. ეს ამონაწერი სრულიათ საკმაოა ჩვენი მოპირდაპირის გასაშავებლათ. მხოლოთ იმას კი ვითხოვ რომ ამას კარგათ ჩაუკვირდეს.

მოქალაქე რაჟდენიძე ამ აზრს ჩვენ გვაწერს, რაც, ზემოთქმულიდან დაინახეთ, რომ ეს სიცრუეა. აქ წმინდათ მენშევიკური მსჯელობაა და ასეთი სისულელე ჩვენ არასოდეს არ გვიკისრია და ვერც ვიკისრებდით.

განვიხილოთ ეს ამონაწერი. აქ რაჟდენიძე ამტკიცებს, რომ ვითომც მე მეთქვას, რომ „ფორმა ორივე შემთხვევაში ერთია, მხოლოდ განსხვავებაა შინაარსშიო".

სხვანაირათ: შინაარსი სხვა და სხვაა, მხოლოთ ფორმა ერთია. ეს პირწმინდათ რაჟდენიძის დებულებაა და არა ჩემი. აქ ჩემი არც ერთი სიტყვა არ ურევია. რას წარმოადგენს მერე ეს დებულება?—მეტნარ სისულელეს!

ფის ავტორს ალბათ ჰგონია: რაკი ქვეყნათ „სინონიმები" არსებობს, მისი ფიქრით სხვა და სხვა „შემთხვევაში" ფორმებიც ერთნაირია.

მართალია, მარქსიზმი მონიზმს აღიარებს, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ქვეყნიერობის სხვა და სხვაობა უარვყოთ. მარქსიზმი გვასწავლის, რომ ქვეყნიერება შეიცავს ერთ არსს, ერთ შინაარსს, ხოლო ფორმით ის წარმოადგენს სხვა და სხვაობას. ასე რომ ამ თვალსაზრისით ჩვენ ყველგან და ყველაფერში შეგვიძლია გამოვნახოთ ერთი საერთო შინაარსი, ხოლო ფორმაში კი უსათუოთ სხვა და სხვაობა ანუ განსხვავება უნდა მოვძებნოთ. ასე უნდა მოვიქცეთ სოციალურ მოვლენების შესახებაც. ჩვენს დავაში წამოყენებულია საკითხი: რა საერთო და რა განსხვავებაა ბურჟუაზიულ დემოკრატიასა და პროლეტარულს შორის?

ცხადია, რომ საერთოა აქ შინაარსი, ე. ი. „დემოკრატიზმი" და არა ფორმა, ე. ი. „დემოკრატიული რესპუბლიკა". ეს საერთო შინაარსი, ე. ი. „დემოკრატიზმი" მეორე შემთხვევაში გამოხატულია სხვა ფორმით, ე. ი. საბჭოთა რესპუბლიკით. მაშასადამე უპირდაპირდება „დემოკრატიზმის" ერთი ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკა—მეორეს—საბჭოთა რესპუბლიკას, და ეს ასედაც უნდა იყოს, ვინაიდან აქ ჩვენ განსხვავებას შინაარსითაც ვპოულობთ. პირველ შემთხვევაში „დემოკრატიზმის" ფორმის შემომქმედი „ბურჟუაზიული" ელემენტებია, როგორც ამას რაჟდენიძე ამბობს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი „პროლეტარული". ამიტომ აქ ფორმები უსათუოთ სხვა და სხვა უნდა იყოს, ვინაიდან განსხვავებული შინაარსი აუცილებლათ განსხვავებულ ფორმას ჰქმის.

ხალხის სიბრძნე ძველიდანვე ამბობს: „არ შეიძლება ძველ გუდაში ახალი ღვინის ჩასხმაო".

ჩვენი მოქალაქე რაჟდენიძე კი სულ უკუღმა მსჯელობს და თავის დამჟავებულ „ღვინოს ძველ გუდაში ასხამს! მას ალბათ ჰგონია, რომ ძველი გუდაც ისევე გამოდგება, როგორც ახალი.

მაგრამ როცა დაინახავს, რომ ეს ძველი გუდა მალე გასკდება, ღვინო დაეღვრება, მაშინ დარწმუნდება, რომ მას ხელში მხოლოთ „დაფშუტებული" გუდა რჩება. სწორეთ ასე „დაფშუტებულია" მთელი მისი აზროვნობა და „მისი „მოძღვრებაც"!.

აბა დააკვირდით: ის ამბობს, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა შეიცავს პოლიტიკურ დემოკრატიას (ხაზი ჩვენია). და სოციალისტურს ე. ი. პროლეტარულ ეკონომიკას (ნახ. იქვე).

მოქალაქე რაჟდენიძეს ყველაფერი „გარკვეული" უყვარს და ჩვენც იძულებული ვართ ყველაფერი აქ სიტყვა-სიტყვით გამოვარკვიოთ და მკითხველს ნათლათ დავანახვოთ როგორც რაჟდენიძის ულოღიკობა ისე მთელი მენშევიზმის უკუღმართობა და თვით მის მიერ თავის თავის უარყოფა.

(გაგრძელება იქნება)

## ბიულეტენი პრეს-ბიუროს

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობასთან.

### საბჭოთა აზერბაიჯანში

**მილიონერების აგარაკები მუშებს.**

**ბაქო,** 19 ივლისი. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება ხსნის მუშებისათვის სააგარაკო ბინებს მარდაკიანის საგარაკო ადგილებში. ჯანმრთელობის საგარაკო ბინებათ იქნება ბაქოს მილიონერების აგარაკები. ზოგიერთი აგარაკები წარმოადგენენ პირდაპირ სასახლეებს, რომლებიც გარშემორტყმული არიან პარკებით.

**ქიურდამირის სადარაჯო ასეულთა როტის რეზოლიუცია.**

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. თემურ ალიევის მიმდინარე მომენტზე: „ჩვენ, ქიურდამირის სადარაჯო როტის წითელარმიელები ფიცს ვსდებთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ საბჭოთა რესპუბლიკას და მზადა ვართ გამოვიდეთ საბჭოთა რესპუბლიკების მტრების წინააღმდეგ წითელი დროშით ხელში. სიკვდილი საბჭოთა რესპუბლიკების მტრებს, გაუმარჯოს მუშურ გლეხურ წითელ-არმიას!"

### საზღვარ-გარეთ

**სამხედრო წესები**

**ტაშკენტი,** 19 ივლ. რევოლიუციონური აგიტაციის გაძლიერების გამო ინდოეთში, ქ. პენდჟაბი გამოცხადებულია სამხედრო წესებზე. ჩრდილოეთ-დასავლეთის ინდოეთის გაფიცულ გზის ხაზზე შეტაკებები ხდება გაფიცულებსა და ჯარის შორის.

**გაფიცულთა მოთხოვნილებ**

**ომსკი,** 15 ივლ. შანხაიდან გვა ბინებენ: მრთველთა ცეხის გაფიცულ მოითხოვეს 17 დატყვევებულ მუ განთავისუფლება. მოთხოვნილება შესრულებულ იქნა.

**კლარა ცეტკინის განცხადებ**

**ქრისტიანია,** 20 ივლისი. გერმა ნაციონალურ კრებაზე კლარა ცეტკ განაცხადა, რომ რევოლიუცია უნდა გრძელდეს თავისი გზით ყველა მთავ ბები, დაწყებული 1918 წ. 9 ნოემბ დან საბრალდებულო სკამზე უნდა ი დასმული კლარა ცეტკინის სიტყვა მოუკიდებლების მქუხარე ტაშის-ცე დაფარა.

**აჯანყება დარმშტადტში.**

**ქრისტიანია,** 20 ივლისი, 3 ივლ დარმშტადტში იყვნენ კომუნისტ აჯანყებამ. კომუნისტების ბელადე შეპყრობილ იქნენ. ხალხი ფიქრო მათ განთავისუფლებას ამ ნიადაგზე მო და შეტაკება, რამდენიმე კაცი მოკლ ლი იქნა.

### „ტუზემცების“ პრესის დევნა ინდოეთში.

**ტაშკენტი,** 12 ივლისი ინდოეთში „ტუზემცების“ პრესის დევნა გრძელდება, უკანასკნელ დროს ინდოეთში დაიხურა 350 გაზ.

გაზეთების დახურამდის რედაქციებს სასტიკად აჯარიმებდენ.

მოკლე ხნის განმავლობაში 300 გაზეთი დაჯარიმებულ იქნა 40,000 გირ. სტერლინგით.

### მბეჭდავების გაფიცვა გრძელდება.

**იამბურგი,** 15 ივლისი. რეველში მბეჭდავთა ნაწილის გაფიცვა გრძელდება. არ გამოდის არც ესტონიური, არც რუსული გაზეთები და აგრეთვე არც სოციალ დემოკრატიული პარტიის ორგანო.

## საბჭოთა რუსეთში

### შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი

**მოსკოვი.** 15 ივლ. მოსკოვში ჩამოვიდა შორეულ-აღმოსავლეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. მ. კრასნოშჩეკოვი. შორეულ-აღმოსავლეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სრულ უფლებიან წარმომადგენლათ საბჭოთა რუსეთში დაინიშნა სოფია გონჩარსკაია. ეს პირველი შემთხვევაა დედაკაცის დანიშვნა დიპლომატიურ პოსტზე.

### როგორ კვდებიან კომუნისტები.

ეკატერინოდარი, 21 ივლისი. ვრანგელის ფრონტზე მოკლულ იქმნა დივიზიის პოლიტიკური კომისარი და სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ამხ. იანიშევი. ის დასჭრეს ხიშტით ფილტვებში. დაჭრის შემდეგ ამხ. იცოცხლა რამდენიმე საათი. სიკვდილის წინ სთქვა: „არ მინდა მოვკვდე, რადგან ჯერ ბევრია სამუშაო“.

### პურის განაწილება.

ეისკი, 8 ივლისი. ეისკის რაიონში ყაზახებმა გამოაქვთ დადგენილება, რომ დაუყოვნებლივ ზედმეტი პური გაეგზავნოს ცენტრალურ რუსეთის მუშებს.

### რუსეთის ელექტროფიკაცია

მოსკოვი, 26 ივლისი. 25 ივლისს დაიწყო მუშაობა შატურსკის ელექტრონის სადგურმა, 15 წუთის შემდეგ ძალამ აიწია 3,000 კილოვატ. საათამდე. ეს პირველი წარმატებაა რუსეთის ელექტროფიკაციის დარგში.

შატურსკის სადგური, რომელიც მოსკოვიდან 110 ვერსით არის დაშორებული და მოწყობილია რიაზანის გუბერნიის ეგორიევის მაზრაში ტორფიანი ჭაობებში, შეუძლია მოგვცეს წელიწადში 27 მილიონი კილო საათის ელექტრონის ენერგია. მალე მოეწყობა ახალი მეორე გრანდიოზული სადგური, რომელიც მოგვცემს 130 კილო-ვატს, ე. ი. გამოამუშავებს მოსკოვის ყველა ტრამვაიებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს.

ენერგია განაწილდება სოფელშიაც და გასწევს გლეხის შრომის მაგიერობას. ეს სადგურები აგებულია მუშებისა და გლეხების მიერ ბანკირების და კაპიტალისტების დაუხმარებლათ.

## №–ს.

შენ მითხარი წამოსვლისას: ჩემო ნუგეშო—
გეყო ტანჯვა და წუხილი, აღარ იხვნეშო;
წადი, ჰპოვე სხვა მიჯნური, გული გაწყალდა,
შენს ქვითინში დედაც მოკვდა, სული დაღალდა“.

მე წაველი, შენ მანდ დარჩი, აღარას ფიქრობ!—
როგორ, სევდა თვარ გავაქრე, აღარ მომიხმობ??
ტანჯვა არი სულის სარკე, გულის მკოდველი,
თუ ვერ ვპოვე „ბედი“ ჩემი ნულარ მომელი!

დედას უთხარ: თუ წერილი ვერ მოვიწერო,
მსურს ტიალი თავი ჩემო ვაბედისწერო;
ჩემი ხვედრი ისეთია, როგორც მანდ იყო,
სული ჩემი სევდით დამებურა, გული გაიყო!

ახ, სიცოცხლე დამეჩრდილა, ფიქრი მწვავს მწველი,
ფანამგზავრო მეგობარო მომეცი ხელი!
ამივარდა სულის მოთქმა, გულის ფრიალი,
თუ დავღუპე ამ ტანჯვაში თავი ტიალი!

ობოლ საფლავს ვინ შემიმკობს თეთრი ყვავილით?—
ვინ შემირხევს საფლავის ლოდს გულის ქავილით?—
ისევ დედა, ჩემი დედა, ტანჯული დედა,—
დახე, სულიც ამ რითმებით როგორ ამღერდა!!

შენ დამაფრქვევ ობოლ ცრემლს და ჩემო ნუგეშო,
დედიკოსთან ჟამს მოთქმისას უნდა იხვნეშო;
და გახსოვდეს თავი ჩემი ვით სიცოცხლეში,
დეე, გაწყალდეს არსებობა წუთისოფელში!

რას დაეძებ?! აღარ ვიცი. რა უნდა ვპოვო?!
ძუძუ გაშრა დედინაცვლის, რა გამოვწოვო?!
ტანჯვა არი სულის სარკე, გულის მკოდველი,
თუ ვერ ვპოვე „ბედი“ ჩემი ნულარ მომელი!!

ტფილისი. **ი. ხონელი.**

## ჩიჩერინის ნოტა

საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა სომხეთის მთავრობას:

„ერევანი, საგარეო საქმეთა მინისტრს ოჰანჯანიანს; ასლი თფილისში კიროვს. საბჭოთა მთავრობის მოქმედება კავკასიაში მიზნათ ისახავს ხელი შეუწყოს სომხეთის ხალხის წყნარ და მშვიდობიან განვითარებას ისევე, როგორც სხვა მის მეზობელ ხალხების განვითარებასაც ახლო აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან ერთად. საბჭოთა რუსეთი გამოდის როგორც უანგარო მეგობარი თვითეულ ერის მშრომლებისა. რუსეთის ჯარების ნაწილების მიერ იმ ადგილების დაკავება, რომლებმაც მეზობელ ხალხთა შორის ბრძოლის პროცესში სადავო ადგილების ხასიათი მიიღო სომხეთ-აღერბეიჯანისთვის, მიზნათ ისახავს უსისხლოან შეტაკებების თავიდან აცილებას, რასაც მოსალოდნელია მეტათ ცუდი შედეგები მოჰყვეს მონაწილე მხარეებისათვის; აღნიშნულ ადგილების დაკავება მიზნათ ისახავს აგრეთვე ისეთ პირობების შექმნას, როდესაც შესაძლებელი იქნება სადაო ტერიტორიალურ საკითხების მშვიდობიანი და მიუდგომელი გადაწყვეტა.

მეგობრული დამოკიდებულება რომელსაც საბჭოთა მთავრობა ცდილობს დაამყაროს ოსმალეთის მცირე აზიის ნაციონალურ მთავრობასთან, სხვათა შორის იმ მიზნითაც უნდა მას გამოიყენოს, რომ სომხეთს მოუპოვოს საჭირო ტერიტორია მცირე აზიაში, და რომ ბოლო მოუღოს გაუთავებელ საბედისწერო შუღლს მუსულმან მცხოვრებლებთა და სომხებს შორის.

საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობისაკენ მისწრაფებებით აიხსნება ის გარემოება, რომ ოსმალეთის ნაციონალისტებმა შეაჩერონ უკვე დაწყებული მობილიზაცია, რომელსაც მიზნათ ჰქონდა დასახული სომხეთის ხალხზე ახალი თავდასხმა; ნაციონალისტებმა სურვილი გამოსთქვეს საქმე მშვიდობიანათ მოაგვარონ და დაამყარონ მუსულმანებსა და სომხებს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

საბჭოთა რუსეთი განაგრძობს მიუდგომელათ მეგობრულ დამოკიდებულებას თვითეულ ერის მშრომელებისადმი; და სომხეთის ხალხს შეუძლია დაიმედებული იყოს, რომ საბჭოთა მთავრობა ასევე მეგობრულათ უყურებს მას და დაიცავს სომხეთის ხალხს ყოველგვარ საფრთხისაგან.

საბჭოთა რუსეთის რწმუნებულის— ლეგრანის ჩამოსვლა ერევანში ხელს შეუწყობს ყოველგვარ დაგროვილ გაუგებრობათა გამორკვევას. საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, რომ ლეგრანთან მოლაპარაკების საშუალებით სომხეთის მთავრობა დარწმუნდება საბჭოთა მთავრობის კეთილ განზრახვებში და შესაძლებელათ სცნობს ხანგრძლივათ და საბოლოოთ შეუთანხმდეს მას და მასთან ერთად ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას კეთილმეზობლურ დამოკიდებულებათა შესახებ.“

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი

**ჩიჩერინი.**

20 ივლისი, 1920 წ.

## ინტერნაციონალის გარშემო.

### კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე კონგრესი.

19 ივლისს ქ. პეტერბურგში დიდი ზეიმით გაიხსნა მე-III ინტერნაციონალის მე-II კონგრესი. შაბათს დღის 12 საათზე შეიკრიბენ ურიცკის სასახლის მორთულ დარბაზში თითქმის ყველა ქვეყნის რევოლიუციონური მუშების ბელადები. პირველ სხდომას ხსნის ამხ. ზინოვიევი, რომელიც უპირველეს ყოვლისა წინადადებას იძლევა ჰაქტივი სცენ ბელადების ხსოვნას, რომლებიც დაიღუპენ კომუნისტურ ინტერნაციონალის საქმისათვის და შემდეგ იგონებს იმ ამხანაგებს, რომლებიც იტანჯებიან საპყრობილეებში, სადაც ისინი ჩააგდეს პროლეტარიატის მტრებმა. შემდეგ ზინოვიევი ამბობს სიტყვას: „კომუნისტური ინტერნაციონალი დაარსებულია 15 თვის უკან, ამ ხნის განმავლობაში ბრძოლაში ჩაბმა მოგვიხდა მე-II ინტერნაციონალთან—ფაქტიურად კი კლასთა ბრძოლაში, რომელიც ნაყოფიერი გამარჯვებით დაგვირგვინდა. ჩვენი ძმები კლასის მიხედვით, [illegible] იდეოლოგიით მოტყვილებულნი, რომლებიც ბურჟუაზიასთან ერთად ერთი გზით მიდიოდენ, მე-II ინტერნაციონალის რიგებში იყვენ. ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ ბურჟუაზია უძლური გამოდგა ომის მიერ გამოწვეულ [illegible] შენარჩენათ და ევროპის ეკონომიური მდგომარეობის აღსადგენათ. ახლა მუშათა კლასი ძალაუფლებისაკენ მიდის, თავზარდაცემული ბურჟუაზია კი ებღაუჭება ნახევრად მკვდარ მე-II ინტერნაციონალს, რომელიც საბოლაო დაღუპვის კარზეა მიმდგარი. მისი დაღუპვა შეძლებას მისცემს საერთაშორისო გაერთიანებულ მუშებს აშენონ კომუნიზმზე დამყარებული ახალი მსოფლიო. კონგრესი მოწოდებულია გადასჭრას კითხვების მთელი რიგი, რომლებიც გადაბმულია იმ პარტიების მოწვევაზე, რომლებსაც ჯერ კიდევ სავსებით არ მიუღიათ კომუნისტური სახე და არ გამოუმუშავებიათ თავიანთი ტაქტიკა. მუშათა კლასის ცალკე ჯგუფები ზოგიერთ ქვეყნებში გზაჯვარედინზე დგანან. ასეთია გერმანიის „დამოუკიდებელი“ და საფრანგეთის სოციალისტური პარტიები. სწორედ ისი, როგორც სხვები, ისინი სტოვებენ მეორე ინტერნაციონალს და ცდილობენ მესამეში შემოსვლას. კონგრესი არ დაუშვებს იდეურ სიყალბეს. ჩვენ ვეტყვით გერმანელ და ფრანგ მუშებს, რომ იმათ უნდა გასწმინდონ თავიანთი რიგები, რომ შეძლება მიეცეთ შემოვიდენ საერთაშორისო მუშათა კავშირში. [illegible] რა მუშობას ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ სრულდება 50 წელიწადი პარიჟის კომუნის დროიდან რომელმაც გვაჩვენა გზა. ჩვენ გამოვსთქვამთ მხურვალე სურვილს, რომ ამ მეტის მეტად მნიშვნელოვან წლის თავზე საფრანგეთში საბჭოთა რესპუბლიკა იქნეს.

მქუხარე ტაშის-ცემამ დაფარა ამხ. ზინოვიევის სიტყვები. შემდეგ ერთხმათ არჩეულ იქნა კონგრესის პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდენ გერმანიიდან ლევი, საფრანგეთიდან დოსლერი, იტალიიდან კრატი, რუსეთიდან ლენინი და ზინოვიევი. ბევრმა ორგანიზაციებმა მოისურვა მისალმებოდა კონგრესს, მაგრამ დროს უქონლობის გამო მისასალმებელი სიტყვა ეძლევა მხოლოდ ერთ წარმომადგენელს ამხ. კალინინს, რომელსაც ოვაციებით შეხვდენ.

ს. რ. ც. აღ. კომ. თავმჯდომარე კალინინი ესალმება კონგრესს, იხსენიებს იმ აუარებელ მსხვერპლს და კოლოსალურ ენერგიას, რომელიც უკანასკნელ წლებში დაიხარჯა მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში საბჭოთა მთავრობამ გამოიწრთვნა თავისი თავი და შექმნა სახელოვანი უძლეველი წითელი არმია, რომელიც ახლა გასაშტერებელ ხიმამაცეს იჩენს თეთრ პოლონეთის ველებზე დღეს მუშებმა და გლეხებმა იციან, რომ მათ წინააღმდეგ მთელი მსოფლიო ბურჟუაზიაა და ამიტომ დასავლეთისკენ იცქირებიან და უცდიან მხოლოდ პროლეტარიატის დახმარებას. კალინინი გამოსთქვამს სურვილს, რომ ეს კონგრესი გახდეს აღმოსავლეთის და დასავლეთის ხალხების ბრძოლის დასაწყისათ მსოფლიო პროლეტარიატის გასანთავისუფლებლად.

მის შემდეგ საუცხოვო მოხსენებას აკეთებს ამხ. ლენინი საერთაშორისო მდგომარეობის და კომუნისტურ ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ. კომუნისტების წარმომადგენლების გამოსვლის შემდეგ (საფრანგეთიდან ამხ. ლოსლარი, იტალიიდან ამხ. სერატი, ინგლისიდან სტაინერი და პოლონეთიდან მარხლევსკი) კონგრესი ღებულობს მოწოდებას წითელი პიტერის პროლეტარიატის წითელ არმიის და ყველა ქვეყნების მუშათა მიმართ. სხდომის გათავების შემდეგ ყველა დელეგატები გრანდიოზული მსვლელობით გაემართენ მარსის მოედანისკენ, სადაც აუარებელი გვირგვინებით შეამკეს ძმათა საფლავი. აუარებელი ხალხი დიდი აღფრთოვანებით უსმენდა ყველას და მხურვალე ოვაციებს უმართავდა ორატორებს.

### მთელი ქვეყანა უცდის კომუნისტურ ინტერნაციონალის გადაწყვეტილებას.

1. აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენება.
2. სხვა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების მოხსენება.
3. მიმდინარე მომენტი.
4. პარტიების მოქმედება.
5. სავაჭრო და სამრეწველო კომიტეტები.
6. კომუნისტურ პარტიების შემადგენლობა და როლი პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობამდის და შემდეგ.
7. ნაციონალური და კოლონიალური პოლიტიკა.
8. მიწის საკითხი.
9. კომუნისტურ პლატფორმაზე მდგომი პარტიები.
10. კომუნისტ-ინტერნაციონალისტების პარტიის ძირითადი დებულებები.
11. საკითხი ლეგალურ და არა ლეგალურ ორგანიზაციებზე.
12. არჩევნები.

კონგრესზე მონაწილეობას ღებულობენ ყველა კომუნისტური პარტიები, ჯგუფები, ფრაქციები, რომლებიც ოფიციალურად შეუერთდენ კომუნისტ-ინტერნაციონალისტებს, და აგრეთვე ყველა ჯგუფები და ორგანიზაციები, რომლებიც პარტიის პლატფორმაზე დგანან. დაშვებულნი არიან პროფესიონალურ და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

### დემონსტრაცია ბერლინში.

ბ ე რ ლ ი ნ ი. მუშათა ფედერაციამ გადასწყვიტა ფაბრიკების დახურვის და მოსალოდნელ უმუშევრების გამო მოაწყოს დიდი დემონსტრაცია. განზრახულია შემდეგი მოთხოვნილებების წამოყენება. 8 საათის სამუშაო დღის შემოკლება, ზედმეტ სამუშაოს აღკრძალვა და საჭირო ზომების მიღების აუცილებლობა, რომ მომავალში უმუშევრობა თავიდან აცილებულ იქნეს.

### ქუჩუკ-ხანის ჯარების წინსვლა.

ლ ო ნ დ ო ნ ი. 6 ივლ. თანახმად „ტაიმსის“ ცნობებისა ქუჩუკ-ხანის ჯარები ზღვის ნაპირით მიიწევენ იმ ზონისაკენ, რომელიც ინგლისის ჯარებს უკავიათ, და რომელიც ყაზვინის ახლო მდებარეობს. რუსეთის ბალშევიკებს ასტარა უკავიათ.

### თავისუფალ ვაჭრობის დაწყება საბჭოთა რუსეთთან

ვ ა შ ი ნ გ ტ ო ნ ი. მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანება შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა რუსეთს შორის თავისუფალ ვაჭრობის დაწყების შესახებ. ამ ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ყოველი სავაჭრო ფირმა, რომელიც საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობას დაიწყებს, თავის პასუხისმგებლობით იმოქმედებს მთავრობა თავის თავზე არავითარ მატერიალურ პასუხისმგებლობას არ ღებულობს.

## უკანასკნელი ცნობები

26 ივლისის სამხედრო ოპერატიული რადიო-ცნობა.

მ ო ს კ ო ვ ი, 27 ივლისი. გროდნოს სამხრეთ-დასავლეთით სასტიკი ბრძოლების შემდეგ ჩვენ დავიკავეთ დაბა ნოვოდგორიცი. და ინდურა 24 ივლისს ჩვენ ავიღეთ ქ. ვოლოკოვისკი.

ქ. ბროდთან სასტიკათ დავამარცხეთ პოლონელების მე-18 ქვეითა დივიზია, ხელთ ვიგდეთ 1,000 ტყვე, 19 ზარბაზანი, 43 ტყვიის მფრქვეველი და სხვა აუარებელი დავლა.

დავიკავეთ ქ.ქ. როდვილოვი და ბროდი.

ტარნოპოლის მიმართულებით სასტიკი ბრძოლების შემდეგ ავიღეთ ქ. ვოლოჩისკი და ზბორაჟი, ხელთ ვიგდეთ ტყვეები და 16 ტყვიისმფრქვეველი.

ბუჩაჩის მიმართულებით ჩვენ გავსწმინდეთ მტრისგან დ. ბუსიატინ-არზიისკი. და დავიკავეთ სოფლების რიგი დ. ჟოკოვცის დასავლეთით. ხელთ ვიგდეთ 200 ტყვე და 12 ტყვიისმფრქვეველი.

ბრესტ-ლიტოვსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები გადავიდენ მდინ. იასელდზე.

პოლესიის რაიონში 23 ივლისს დავიკავეთ ქ. პინსკი.

## ახალი ამბები

— ჩვენი პარტიის თბილისის კომიტეტმა შემდეგი განცხადება გაუგზავნა ქალაქის თავს. „გუშინდელ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით საქ. კომუნ. პარტ. თბილისის კომიტეტს წინადადება მიეცა სამი დღის განმავლობაში გაანთავისუფლოს კომიტეტის მიერ დაკავებული ბინა რუსთა ნაციონალურ საბჭოს ქვედა სართულში, სადაც მოთავსებულია საშა წულუკიძის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო და თბილისის კომიტეტის ბიურო. თბილისის კომიტეტი გთხოვთ თქვენ საჩქაროთ მისცეთ კომიტეტს შესაფერი ბინა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქ. კომუნ. პარტიის თბილისის ორგანიზაცია ქუჩაში გაყრილი იქნება.

— პარასკევს, 30 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლეში შესდგება საქ. პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს გაერთიანებული სხდომა ადგილობრივ საბჭოთა წარმომადგენლებთან ერთად. დღიურ წესრიგში დასმულია საკითხი მუშათა დელეგაციის გაგზავნის შესახებ საბჭოთა რუსეთში და აზერბაიჯანში.

## სოფელი და მიწის მუშა.

დღეიდან ჩვენ გაზეთში იხსნება ახალი განყოფილება: სოფელი და მიწის მუშა, სადაც აღწერილი და გაშუქებული იქნება საერთოდ სოფლის და მიწის მუშის მდგომარეობა და ჭირვარამი, როგორც ჩვენში ისე საზღვარ-გარეთაც. ამიტომ სოფლის მუშის ვალია მოაწვდინოს მის გაზეთს ხშირ-ხშირათ ნამდვილი ცნობები ამის შესახებ და ამით რედაქციას ტვირთი შეუმსუბუქოს.

**რედაქცია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გ უ რ ი ა.

(ს. შემოქმედი.)

შარშანდელი მოუსავლობის გამო წელს გურია შიმშილს განიცდის. უმრავლესობას სარჩო არ აქვს და გაჭირებულ მდგომარეობაში იმყოფება. გლეხი ტომრით ხელში სოფლიდან სოფელში დაწანწალობს, რომ როგორმე ერთ ბათმან სიმინდს მოუყაროს თავი, მაგრამ სიმინდის შოვნაც უძნელდება, რადგან გარედან სიმინდი გურიაში არ შემოდის. აქედან აშკარაა, თუ როგორი გაჭირვებას განიცდის ამ ხანად გურული ღარიბი გლეხკაცობა. და ამას დაუმატეთ კიდევ სახელმწიფო გადასახადები და მკითხველისთვის ადვილი წარმოსადგენი იქნება ის გაჭირვებული მდგომარეობა, რომელსაც ამ მხარის ღარიბი გლეხობა განიცდის. გარდა ამისა უნდა დავუმატოთ, რომ დღეს გურიაში თემის კომისრები და მილიციონერები გადასახადებს საშინელი რეპრესიებით და ძალდატანებით კრეფენ, კიდევ უფრო მეტი: ოჯახებიდან ფულის მაგიერ გამოაქვთ ტანსაცმელები, სამუშაო იარაღები, ქურქლები და სხვა და სხვა ნივთები.

გურიის ღარიბი გლეხკაცობა დღეს ძველი ჩაფრების მათრახის ქვეშ იზნიქება.

**ლადო შემოქმედელი.**

---

**სავლვარ-გარეთ.**

### იტალიის სოფელში.

მოსკოვში ამ ჟამად არის იტალიის კომუნისტების ბელადი ამხ. კრატი.

აი რას გვიამბობს ის იტალიის სოფლის მუშაკების მდგომარეობაზე და მათ სულიერ განწყობილებაზე.

**მიწის მუშათა კავშირი.** თუ რამდენათ მეტად ფართო ხასიათს ღებულობს ამ ჟამად იტალიის სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის მოძრაობა განსაკუთრებით ჩრდილოეთ იტალიაში, სჩანს თუ გინდ იქედანაც, რომ მის ორგანიზაციაში („მიწის მუშათა კავშირი“) ირიცხება 800 ათასზე მეტი წევრი.

ეს ორგანიზაცია მუშაობს მუშათა პროფესიონალურ კავშირების საბჭოსთან თანხმობით.

მაგრამ კიდევ უფრო ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ იტალიის სოციალისტური პარტიის ზრდა უკანასკნელ ხანებში ხდება უმთავრესად რევოლიუციონურ ბატრაკების ხარჯზე.

**დაქირავებული ბატრაკობა და სოციალისტები.** იტალიაში ორი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მუშებია: ერთი მხრით, დაქირავებული ბატრაკები, მეორე მხრით, ბატრაკები, რომლებიც იჯარით ღებულობენ მემამულისგან მიწას, ეგრედ წოდებული კოლონები.

სწორეთ პირველი ტიპის მუშებში აქვს დიდი გავლენა და გასავალი სოციალისტებს, იქედან გამოდიან თავდადებული და გამობრძმედილი პარტიის წევრები.

**მიწის საზოგადოებრივი დამუშავება.** დაქირავებულ ბატრაკების ნაწილი მუშაობს მსხვილ მიწადმფლობელების მემამულზე, ნაწილი კი მთავრობის ნებართვით იღებს მიწებს და აწყობს მასზე საზოგადოებრივ მუშაობას, როგორც, მაგალითად, ფერარის, როზაკოს, რაკენეს და რედჟიო-ემილიას ოლქებში.

ბალონიის ოლქში, მაგალითად, მოწყობილია უზარმაზარი ბრინჯის. პლანტაციები, რომელზედაც საზოგადოებრივი მუშაობა წარმოებს მანქანების დახმარებით; მუშაობენ იქ, ახვათა შორის, უმთავრესათ დედა-კაცები.

**ბრძოლა მიწისათვის.** თავის დროზე ბატრაკები ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდენ ხაზეინების კავშირთან პიწებისთვის და მათ საზოგადოებრივ დამუშავებისათვის. პირდაპირ შეტაკებები ხდებოდა და ორივე მხრით მსხვერპლებსაც ქონდა ალაგი. ბატრაკების დიდ ნაწილს მიუსაჯეს რამოდენიმე წლით ციხეში ჯდომა. მაგრამ დაბოლოს გამარჯვება მაინც ბატრაკების მხარეზე დარჩა და ამ ადგილებზე ბატრაკები თითქმის სავსებით არიან შეკავშირებულნი, განსაკუთრებით მოსტინელას მაზრაში.

**კომუნალური სახლები.** ამ უკანასკნელ დროს ბატრაკებში ემჩნევა გაძლიერებული მოძრაობა თავიანთ „კომუნალურ სახლების“ მოსაწყობათ. და მდინარე პოს-ხეობისა,—იტალიის ამ ბელის ბატრაკებმა, რომლებიც ყველაზე უფრო მოწინავე ელემენტებს შეადგენენ, უკვე მოაწყვეს თავიანთი სახლები, რომლებითაც ისინი კოლექტიურად სარგებლობენ.

პროვინციებში, სადაც განვითარებულია მიწების კოლექტიურად დამუშავება, ქალაქის კომუნები სოციალისტების ხელშია.

**კოლონები.** ბატრაკების მეორე კატეგორიაა კოლონები. ისინი ღებულობენ იჯარით მიწის პატარა ნაჭერს და ამუშავებენ, მთელ თავის ოჯახის წევრების ძალებით. თავის თავად ცხადია, რომ კოლონები დიდი თანაგრძნობით უყურებდნენ სოციალისტურ მოძრაობას.

**წვრილი მესაკუთრეები.** იტალიის ცენტრალურ ნაწილში, ლისურიაში, პიემონტის ნაწილში და სხვ. უმეტესად წვრილი მესაკუთრეებია. მათი ეკონომიური მდგომარეობა მეტის-მეტად აუტანელია. მათ უხდებათ გაყიდონ ყველაფერი დასაყორნავათ, რომ რამენაირად მოაბან ერთმანეთს თავები, და ამიტომ ისინი მუდამ საცოდავ მსხვერპლებათ ხდებიან სპეკულიაციის.

მათში დიდი უკმაყოფილება მეფობს ბურჟუაზიულ მთავრობის მიმართ, რომელსაც მსხვილი მესაკუთრეების მხარე უკავია.

პოლიტიკურად ისინი მუდამ მზათ არიან მხარი დაუჭირონ სოციალისტებს, მაგრამ ამაზე შორს არ მიდიან.

მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ნახევრად მშიერი არიან და გაღატაკებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ეს წვრილი მესაკუთრეები მეტის-მეტად მიჯაჭვული არიან თავიანთ მიწის ნაჭრებზე, და ამიტომ ეშინიათ სოციალისტების, რომლებიც ვითომ და ჩამოართმევენ მათ ამ მიწებს. ასე ჩასძახიან მათ მემამულეების დამქაშები.

**გლეხების მოძრაობა.** რომის მაზრაში გლეხები მოითხოვდენ არისტოკრატიისა და სამღვდელოების მიწების მათთვის გადაცემას.

სოციალისტები მომხრე იყვნენ, რომ მიწები კომუნების ხელში გადასულიყო. დავაში ჩაერია ბურჟუაზია და დემობილიზაციის შემდეგ გლეხების მოთხოვნილება გადაყოფის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა.

სამხრეთ იტალიაში ხამუშ-ხამუშათ არსებობს მიწათმფლობელობის ორი ფორმა.

იქ, განსაკუთრებით, სიცილიაში ძალიან ხშირათ ხდება ბატრაკების ნამდვილი აჯანყებები, რომლებსაც თან ერთვის დიდი მსხვერპლი, მემამულეების სახლემისთვის ცეცხლის წაკიდება და სხვ. საუბედუროთ სოციალისტებმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს თავის გავლენის ქვეშ დაეყენებიათ პროლეტარიატის ეს მეტად ჩამორჩენილი ნაწილი.

---

# პარტიული ცხოვრება.

**სამტრედია.**

16 ივლისს შესდგა სამტრედიის რაიონული კრება. რაიონ. ბიუროში დაესწრო 15 იაჩეიკის და 3 ქვე რაიონის წარმომადგენლები. დღ. წესრიგი იყო: 1) მოხსენება დროებითი კომიტეტს, 2) მოხსენება ადგილებიდან, 3) გაზეთების გავრცელება და სხვა.

მოხსენება დრ. სამ. რაიონულ კომიტეტის მუშაობაზე გააკეთა კომ. თავმჯდომარემ ვ. სტურუამ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კომიტეტი შეძლებისდაგვარათ ენერგიულად მუშაობდა. ახდენდა ყოველ კვირაში მორიგ კრებებს.

დელეგატების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ იაჩეიკები თითქმის რაიონის ყველა კუთხეებში აღდგენილია.

ძველ წევრთა რეგისტრაცია ყველგან მოთავებულია, ახლების მიღება გრძელდება, არსებობს ბევრ ადგილას მოსამზადებელი წრეები.

რეპრესიებს ადგილი ჰქონია მხოლოდ ზოგიერთ კუთხეში მაგ. შუანთაში—ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენლებს ნება არ მიუციათ კრების მოწყობის, დამუქრებია მთელ კრებას დაპატიმრებით. მაგრამ მეორე დღეს მოლაპარაკების შემდეგ—ნება დაურთავთ და ადგილობრივი სასწავლებლის შენობაში ერთი ოთახიც დაუთმიათ მუდმივი კრებისათვის. ერთ კუთხეში უბნის კომისარს ზევიდან მოწერილობა მოსვლოდა, რომ კომუნისტების კრებებისთვის თვალყური ედევნებია და ყოველთვის დასწრებოდა, მაგრამ განკარგულების შესრულების ცდაც ჯერ ვერ გაუბედიათ—ვერსად.

საერთოთ, განსაკუთრებით განაპირა სოფლებში, მენშევიკების აგენტები ჩვენი ლეგალიზაციის გამოცხადებამ სულიერად დასცა, შეუდგენ დემაგოგიას, მუქარას, მაგრამ პარტიული ამხანაგების დინჯი და გამოცდილი ქცევით, იმათ ვერაფერი დაგვაკლეს.

ისინი ურიგდებიან ბედს და შორიდან უყურებენ თუ როგორ ეცლებათ ფეხ ქვეშ ნიადაგი.

მოხსენების შემდეგ კრებამ დაავალა კომიტეტს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახალ იაჩეიკებს და მოსამზადებელ წრეებს. მოაწყოს ლექციები სახალხოთ, სადაც შესაძლებელი არის, ყოველ იაჩეიკების კრებაზე იგზავნებოდეს მომზადებული ამხანაგები, მიაწოდოს ამხანაგებს პარტიული ლიტერატურა და გაზეთები.

დასასრულ კრებამ დაადგინა ცენტრალურ კომიტეტის საშუალებით გაეგზავნოს მიხა ცხაკაიას ჩვენი სახელით მისალმება მესამე ინტერნ. მე-2 კონგრესისთვის.

**ვ. გ.**

**დ. ჩ ხ ა რ ი.**

11 ივლისს დ. ჩხარში მოხთა ადგილ. კომ. ორგ. წევრთა კრება. რამდენიმე კითხვის გარჩევის შემდეგ კრება იგონებს და ფეხზე ადგომით პატივს სცემს დუშეთის გლეხთა აჯანყებაში გმირულათ დაღუპულს, ბოლშევიკებში კარგად ცნობილს ამხ. თომა ამბაკოს-ძე ჩუბინიძეს.

**ჩხარის კორესპოდენტი.**

---

# პროტესტი

**ფოთი.** გავიგეთ რა ჩვენი გაზეთის, „საქ. კომუნისტის“ დახურვა, სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ და ვამბობთ: ეს ნიშნავს ჩვენს მოწინაალმდეგეთა პოლიტიკურად გაკოტრებას და სამარცხვინოთ გაქცევას ბრძოლის ველიდან.

**ფოთის კომუნისტური ორგანიზ.**

---

# მუშათა ცხოვრება

**მეტყავეთა შორის.**

მეტყავეთა კავშირის გამგეობა დელეგატების ყრილობაზე გაარჩევს გაფიცვის ფონდის საკითხს.

— მეტყავეთა კავშირის გამგეობა სატარიფო პალატის წინაშე შუამდგომლობს კავშირის მუშების ხელფასის გადიდებაზე.

**ლითონზე მომუშავეთა შორის.**

ვინაიდან სხვა და სხვა ქარხნების და სადგურების მუშებმა არა ერთხელ მიმართეს ლითონზე მომუშავეთა კავშირს მოთხოვნილებით ჯამაგირების გადიდების შესახებ, მიიღო რა მხედველებაში დღევანდელი სიძვირე, ლითონზე მომუშავეთა კავშირმა, დაადგინა: მიეცეს მათ ახალი დამატებებით ქირა სატარიფო პალატის დახმარებით.

**თამბაქოს მუშებში.**

თამბაქოს ქარხნის: „კავშირის“ მუშების მდგომარეობა აუტანელია. არა ერთხელ მიმართეს მუშებმა კავშირის გამგეობას ჯამაგირების მომატების მოთხოვნით, მაგრამ ვერაფერს გახდენ. და მართლაც სატარიფო პალატა ხომ არ ემორჩილება მუშებს, არამედ მუშები სატარიფო პალატას.

**სახერხ ქარხნის მუშებში.**

ცხოვრებოვის სახერხ ქარხნის მუშები იმის გამო, რომ მეტად მცირე სამუშაო ქირას ღებულობენ, იძულებული არიან იმუშაონ ზედმეტი საათები. ამიტომ ისინი ხშირად მიჰმართავენ კავშირს, მაგრამ ვერავითარ დადებითი შედეგებს ვერ აღწევენ.

**წყლის წისქვილებში მომუშავეთა მდგომარეობა.**

წყლის წისქვილებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა საშინელზე-უსაშინელესია. მათთვის არ არსებობს არავითარი ნორმა განსაზღვრული ჯამაგირისა; მუშაობენ განუსაზღვრელ დროს და არ აქვთ დასვენება უქმე-დღეებში, არ ეძლევათ საფასური ზედმეტი ნამუშევარი საათების და არც უქმე-დღეების.

ერთი სიტყვით, იმყოფებიან ნამდვილ ჯოჯოხეთურ პირობებში. თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მოუფიქრებიათ წყლის წისქვილებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება; ამიტომ 22 ივლისს მოიწვიეს საზოგადო კრება, რომელზედაც ყოველ მხრივად იქმნა გაშუქებული კრების წევრების მდგომარეობა, რის შემდეგ გადაწყდა აერჩიათ კომისია. კომისიაში შედის 5 კაცი, მას დაევალა კრების მიერ იზრუნოს მუშა მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაც შეიძლება დაჩქარებით.

**კოტე.**

---

# მისალმებანი.

**ხიდისთავი (გურია)**

ხიდისთავის კომუნისტური იაჩეიკის წევრები რიცხვით 37 კაცამდე აღფრთოვანებით ვეგებებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოს „ახალ კომუნისტს,“ როგორც მშრომელი ხალხის ინტერესების პირნათლად დამცველს ვისურვებთ მედგრათ და შეურყევლათ გეტარებიოთ ის წითელი დროშა, რომელზედაც წარწერილია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერდით!“ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ „ახალი კომუნისტი“ ყოველ ფეხის გადადგმაზე ამხელს ადგილობრივი მენშევიკების სიკოტრეს და ამცნობს ხალხს სრულ ჭეშმარიტებას.

**ამხ. მონდობილობით ყ—ლი**

გამარჯვება და დღე-გრძელება „ახალკომუნისტს“! გამარჯვება ყველა იდეური კომუნისტ-ამხანაგებს, რომელნიც იბრძვიან მუშებსა და გლეხების გამარჯვებისათვის: გამარჯვება მუშა-მშრომელთა ინტერესების შეუდარებელ დამცველთ! გაუმარჯოს სისხლით მოპოვებული სიტყვის და ბეჭდის თავისუფლობას! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას! გაუმარჯოს კლასიურ ბრძოლას! გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

მე-III რაიონის მე-10 იაჩეიკის მონდობილობით **მშრომელ-ნიკალ.**

**სუჯუნა.**

სალამი, თქვენ, ძვირფასო თავდადებულნო ამხანაგებო, რომელნიც ქუთაისის საგუბერნიო ციხის ნესტიან ოთხკედელშუა იმყოფებოდით გამომწყვდეული. იმედი გვაქვს თქვენი შრომა უნაყოფოდ არ დარჩება. ჩვენ სამეგრელოს მუშა ღარიბი გლეხკაცობა გიძღვნით ძვირფას სალამს და გეუბნებით: დიდი ქარიშხლის დროს ჩვენ თქვენთან ვიქნებით უკანასკნელ სიცოცხლის წუთამდი. ამხანაგების მონდობილობით.

**კ. ნ—ა**

**ს. აბაშა. აბაშის რაიონი.**

სოფელ აბაშის საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია გიძღვნით მხურვალ სალამს ჩვენი პარტიის მესვეურთ და გპირდებით მთელი ძალ ღონით დაგეხმაროთ იმ ძეგლის ასამართავათ, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტია ქმნის, როგორც მესამე ინტერნაციონალის ერთი რაზმი.

ამხანაგობის მონდობილობით

**აბაშელი კომუნისტი**

---

# ფონდი

**სუჯუნა** (სამეგრელო). „ახალი კომუნისტი“-ს ფონდის გასაძლიერებლათ გიგზავნით 400 მან. გისურვებთ გამარჯვებას; იმედი გვაქვს „კომუნისტის“ რედაქციაში მომუშავე ამხანაგები ერთხელვე დასახულ მიზანს არ გადუხვევს და დაწყებულ საქმეს გამარჯვებით დააგვირგვინებენ.

**ნო—ა.**

---

**დრ. რედაქტორი:**

**დიმიტრი ჯორბენაძე.**

---

# უწყებანი:

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

---

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც პლეხანოვის სამკითხველოა,

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

---

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 ,საათამდე.

---

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

---

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებით გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

---

# ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კობა (სტალინ) ჯუღაშვილი—დიალექტიური მატერიალიზმი.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
12. ნ. ბუხარინი —პროგრამა კომუნისტებისა (ბოლშევიკების).
13. პარტიული წესდება.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. 3.